



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

28 იანვარი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №24

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საშვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირთა ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოში მოქალაქეთა მიღების წესის დამტკიცების ტაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 აპრილის №15 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (1-2სართული) საშვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირთა ნუსხა:
 - ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები;
 - ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეები;
 - გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები;
 - დ) პრესისა და მედიის წარმომადგენლები;
 - ე) საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეები;
2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი